www.nationalparks.ge



ფრინველებზე დაკვირვება

საქართველოს ეროვნული პარკები





ჩამოტვირთეთ საქართველოს ეროვნული პარკების
სამოგზაურო აპლიკაცია

Download on the App Store

GET IT ON Google Play


საქართველოს უნიკალური მდებარეობა და კლიმატური პირობები განაპირობებს გადამფრენი ფრინველების სიმრავლეს, რაც დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ქმნის ფრინველებზე დამკვირვებლებისთვის. საქართველო მტაცებელი ფრინველების ერთ-ერთ უდიდეს სამიგრაციო დერეფნად ითვლება მსოფლიოში. ყოველწლიურად 1 000 000-ზე მეტი ფრინველი მიფრინავს საქართველოს გავლით სამხრეთის ცხელ ქვეყნებში და შემდეგ ბრუნდება მშობლიურ მიწებზე. შესაბამისად, რეგიონი ყოველწლიურად უფრო მეტ ტურისტსა და მეცნიერს იზიდავს, რომლებიც ამ ტერიტორიით არიან დაინტერესებულნი.

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე, წელიწადის სხვადასხვა დროს შესაძლებელია ფრინველთა წყალმცურავ, მობუდარ და მიგრირებად სახეობებზე დაკვირვება, სპეციალურად მოწყობილი სათვალთვალო კოშკურებიდან.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

კოლხეთის ეროვნული პარკი

იუნესკოს მსოფლიო ბუნებრივ მემკვიდრეობად აღიარებული კოლხეთის ეროვნული პარკი, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და უჩვეულო ადგილია საქართველოში. წელიწადის სხვადასხვა დროს ის სრულიად უნიკალურ და განსხვავებულ სანახაობას გპირდებათ. აქ შეგიძლიათ დატკბეთ მილიონობით წლის წინანდელი კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების სილამაზით, ისიამოვნოთ დუმფარების ყვავილობით, კოლხური სუროთი და ლიანებით გადახლართული ამწვანებული ტყეებით. ამ ყველაფრის ფონზე კი დააკვირდეთ წყლის ფრინველებს და მიგრირებადი ფრინველების გადაფრენას. კოლხეთის ეროვნულ პარკში, წლის განმავლობაში შესაძლებელია 50 ათასამდე წყალმცურავ, მობუდარ და მიგრირებად იშვიათ და ულამაზეს ფრინველებზე დაკვირვება.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

ლაგოდეხის ეროვნული პარკი

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების უნიკალური მდიდარი ბუნება, ჩანჩქერებისა და ფრინველების სამფლობელო, თქვენს მოგზაურობას ემოციებითა და წარუშლელი შთაბეჭდილებებით აავსებს. აქ, ალპურ იალაღებზე, მთის არწივები, ბატკანძერები და ორბები თავისუფლად ლივლივებენ, ხოლო როჭო და შურთხი იმ უნიკალურ ფრინველებს შორის არის, რომლებსაც მხოლოდ კავკასიაში შეხვდებით. მრავალფეროვანი ფრინველთა სამყარო კირკიტებით, კაკაჩებით და სხვადასხვა სახეობის ბუებით არის წარმოდგენილი.

საქართველოში გავრცელებული კოდალების 7 სახეობიდან აქ შეგიძლიათ იხილოთ 6, მათ შორის დიდი ჭრელი კოდალა, თეთრზურგა კოდალა, მცირე ჭრელი კოდალა, საშუალო ჭრელი კოდალა, შავი კოდალა და მწვანე კოდალა, ასევე ტერიტორიაზე გვხვდება წითელშუბლა მთიულა და თეთრგულა შაშვი. წელიწადის თბილ პერიოდში მთებში მობინადრე ძალიან ლამაზი წითელფრთიანი კლდეცოცია ზამთრის დადგომისას ბარში ეშვება.

მოლაღურები, მთის მდინარეებში თამამად მყვინთავი წყლის შაშვები, წიწკანები, ჭინჭრაქები, ნიბლიები, გუგულები და კოდალები ლაგოდეხის ტყეს თქვენთვის გამორჩეულ მოგზაურობად აქცევენ.

www.nationalparks.ge



საქართველოს ეროვნული პარკები

ვაშლოვანის ეროვნული პარკი

ვაშლოვანის ეროვნულ პარკში მოგზაურობისას სასურველია ჭოგრიტი თან იქონიოთ, რადგან აქ დაგხვდებათ ფრინველთა მდიდარი სამყარო. ვაშლოვანში ტარბების ათასიანი გუნდები გვხვდება. მრავლად არიან სხვა მცირე ზომის ფრინველები: ბეღურები, ჩიტბატონები, სკვინჩები. ზამთრობით აქ სარსარაკების მრავალრიცხოვანი გუნდების ნახვაა შესაძლებელი.

ვაშლოვანის ფრინველთა სამყარო გამოირჩევა როგორც მრავალფეროვნებით, ასევე მისი მნიშვნელობით.

ვაშლოვანში და მის მიმდებარედ გავრცელებული ფრინველთა 135 სახეობიდან 26 სახეობა მტაცებელ ფრინველს ეკუთვნის და უკლებლივ ყველა დაცულია ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციით.

აქვე უნდა აღინიშნოს კოლხური ხოხბისა და კაკბის საკმაოდ მრავალრიცხოვანი პოპულაციები.

ვაშლოვანი მნიშვნელოვანი საბინადრო არეალია ასევე შემდეგი სახეობებისთვის: შავი ყარყატი, გავაზი, წითელთავა შავარდენი, მიმინო, ველის კაკაჩა, ბექობის არწივი, ორბი, სვავი, ფასკუნჯი, წითელი იხვი, თვალჭყეტია, კლდეცოცია, შავმუცელა გვრიტჩიტა და ჩვეულებრივი გვრიტი.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

ჯავახეთის ეროვნული პარკი

ჯავახეთის სრულიად განსხვავებულ და განუმეორებელ სილამაზეს ეგზოტიკური ფრინველების სიმრავლე განსაკუთრებულ ხიბლს სძენს. მთელს კავკასიაში ჯავახეთი გამოირჩევა მრავალრიცხოვანი ტბებითა და ჭაობებით. მსოფლიოში იშვიათად თუ შეხვდებით ჯავახეთის მსგავს ადგილებს, სადაც, ზღვის დონიდან 1500-3300 მ სიმაღლეზე ჭარბტენიანი ტერიტორიები და ტბებია თავმოყრილი. იგი აღიარებულია გადამფრენ და მობინადრე ფრინველთათვის გლობალური მნიშვნელობის მქონე ადგილად და დაცულია ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ რამსარის კონვენციის შესაბამისად. აქ აღირიცხება ფრინველთა დაახლოებით 240 სახეობა, მათ შორის მკვიდრია 40 სახეობა, ხოლო დანარჩენი გადამფრენი.

ფარავნის, საღამოს, მადათაფას, ბუღდაშენის, ხანჩალისა და კარწახის ტბები და სულდის ჭაობი წყლის ფრინველთა ნამდვილი სამფლობელოა. საქართველოში მხოლოდ აქ შეხვდებით მობუდარ ლაკლაკს, რუხ წეროს, ხუჭუჭა და ვარდისფერ ვარხვებს. ტერიტორიაზე სომხური თოლიების უზარმაზარი კოლონიების ნახვასაც შეძლებთ. ჯავახეთის ტბების ნაპირებზე და აქ არსებულ ჭაობებში მრავლადაა ჩიბუხა, გოჭა, პრანწია და ოჩოფეხა. თუ გაგიმართლათ, ამ ტერიტორიებზე ვარდისფერ ფლამინგოსაც მოჰკრავთ თვალს.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

ქობულეთის ეროვნული პარკი

ქობულეთის დაცული ტერიტორიების უნიკალური ტორფნარის ტერიტორიაზე, შემოდგომასა და გაზაფხულზე, უამრავი გადამფრენი ან მოზამთრე ფრინველი იყრის თავს. მათ შორის: რუხი და თეთრი ყანჩები, ჭაობის ძელქორი, კაკაჩა, ბექობის არწივი, ტურუხტანი, ზღვის კაჭკაჭი, სისინა გედი და სხვა. თუ კარგად დააკვირდებით, აქ ულამაზესი ლურჯი ფერის ფრინველს, ალკუნს და იშვიათი სახეობის ჭაობის კუსაც შენიშნავთ.

ქობულეთის დაცული ტერიტორიები აღიარებულია იუნესკოს მსოფლიო ბუნებრივ მემკვიდრეობად, სადაც მოგზაურობა წელიწადის ნებისმიერ დროს საინტერესო და სასიამოვნოა, ხოლო ზაფხულის შავი ზღვის სანაპიროზე გატარების პარალელურად, შეგიძლიათ იმოგზაუროთ უძველეს, გამყინვარების პერიოდიდან შემორჩენილ, შორეული ჩრდილოეთის მცენარეთა თავშესაფრებში, იხილოთ გადამფრენი ფრინველების მარშრუტი ევრაზიასა და აფრიკას შორის, აღმოაჩინოთ საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული იშვიათი და უნიკალური სახეობები. ქობულეთის დაცული ტერიტორიები ასევე აღიარებულია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიად და დაცულია ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ რამსარის კონვენციის შესაბამისად.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

თუშეთის ეროვნული პარკი

თუშეთის დაცული ტერიტორიები გამორჩეულია ფრინველთა მრავალფეროვნებით, სადაც დაფიქსირებულია დაახლოებით 180 სახეობა. წარმოდგენილი სახეობებიდან დაახლოებით 52 მთელი წლის განმავლობაში მუდმივ მაცხოვრებელ და ადგილზე მობუდარ სახეობას წარმოადგენს. მათ შორისაა კავკასიის ენდემები: კავკასიური როჭო და კავკასიური შურთხი; 54 კი მიგრირებადი სახეობაა და ადგილზე შემოდგომასა და გაზაფხულზე შეინიშნება. თუშეთში არსებული ფრინველთა 18 სახეობა საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი, რომელთაგან ბარი (გავაზი) გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშეა. ამავე დროს აქ არსებული სახეობებიდან ნაწილი IUCN–ის წითელ ნუსხაშია: 3 სახეობა - ფასკუნჯი, ბარი (გავაზი) და ველის არწივი – გადაშენების საფრთხის ქვეშაა, ხოლო ბექობის არწივი და დიდი მყივანი არწივი მოწყვლადი სახეობებია.

თუშეთის დაცული ტერიტორიების მიუვალი კლდეები მტაცებელი და ლეშიჭამია ფრინველების: სვავის, ორბის, ბატკანძერას, ქორის, მიმინოს და მთის არწივის საბუდარია. სხვა მტაცებელ ფრინველთაგან, აქ რამდენიმე სახეობის ბუ, მცირე (ველის) კირკიტა, ველის (გრძელფეხა) კაკაჩა და შავარდენი გვხვდება.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

მტირალას ეროვნული პარკი

იუნესკოს ბუნებრივ მემკვიდრეობად აღიარებული მტირალას ეროვნული პარკის უნიკალურ ბუნებაში შესაძლებელია მრავალი სახეობის ფრინველის ხილვა. პარკის სიახლოვეს გადის ფრინველთა მნიშვნელოვანი - შავი ზღვის აღმოსავლეთ სამიგრაციო გზა და მტირალას ეროვნული პარკი მიგრირებადი ფრინველებისთვის შესვენების ხელსაყრელი ადგილია.

ტერიტორიაზე აღწერილია 155 სახეობის ფრინველი. საქართველოს წითელი ნუსხით დაცულია 20 სახეობის ფრინველი. ხუთი სახეობა – ბექობის არწივი, ველის არწივი, დიდი მყივანი არწივი, გავაზი და ფასკუნჯი – მოწყვლადი ან გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სტატუსის მქონეა IUCN-ის წითელ ნუსხაში.

www.nationalparks.ge



საქართველოს ეროვნული პარკები

ჭაჭუნას ეროვნული პარკი

ჭაჭუნას აღკვეთილი მდებარეობს კავკასიის ბიომრავალფეროვნების გულში და მდიდარია ენდემური და გადაშენების პირას მყოფი ფრინველებით. იგი ასევე მნიშვნელოვანი დერეფანია გადამფრენი ფრინველებისთვის.

ტერიტორიას მნიშვნელოვანი კონსერვაციული ღირებულება გააჩნია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ტერიტორია ზურმუხტის ქსელის შემადგენელი ნაწილია. იგი მოიცავს ტუგაის ტიპის ჭალის ტყეებს, არიდულ და სემიარიდულ ეკოსისტემებს.

ფრინველთა არაერთი წარმომადგენლისთვის ეს რეგიონი მნიშვნელოვანია, როგორც გამოსაზამთრებელი ადგილი. ზამთარში შეხვდებით სარსარაკის გუნდებს. აქ იზამთრებს სავათიც.

ჭაჭუნას აღკვეთილის შედარებით მცირე ტერიტორიაზე (4 697 ჰა), აღწერილია ფრინველთა 268 სახეობა, აქედან 23 „საქართველოს წითელ ნუსხასა“ და ასევე IUCN-ის „წითელ ნუსხაშია“ შეტანილი.

ფრინველებზე დაკვირვების მოყვარულებს შესაძლებლობა აქვთ იხილონ იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ფრინველები, რომლებიც შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ — მათ შორის ბექობის არწივი, ბატკანძერი, სვავი, ორბი, სარსარაკი, ფასკუნჯი, ჭოტი, დიდი მყივანი არწივი, გავაზი, მცირე კირკიტა და სხვა.





www.nationalparks.ge



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

საქართველოს ეროვნული პარკები